XXVI სკკპ ყრილობას ღირსეულად შევხვდეთ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
სამშაბათი
16
სექტემბერი
№ 213
(17856)
□
ფასი
2 კაპ.

# საქართველოს სოფლის მშრომელთა საყრილობო შეჯიბრება!

# არის 105.468 ტონა ყურძენი!

## მადლი თქვენს პირველ წარმატებას, ქვირფასო მევენახეებო!

რთველი — 80

## ზვრების ბარაქა

ყურძნის დამზადების 1980 წლის გეგმა-ვალდებულების შესრულების მიმდინარეობა (ტონობით).




მეღვინეობის სამრეწველო გაერთიანების „სამტრესტის" 15 სექტემბრის ცნობა

| რაიონები | გეგმა-ვალდებულება | შესრულება |
|---|---|---|
| გურჯაანის | 150.000 | 33.086 |
| თელავის | 95.000 | 11.282 |
| ყვარლის | 80.000 | 15.325 |
| სიღნაღის | 65.000 | 16.857 |
| ახმეტის | 60.000 | 1.106 |
| წითელწყაროს | 50.000 | 19.219 |
| საგარეჯოს | 40.000 | — |
| ლაგოდეხის | 20.000 | 595 |
| მარნეულის | 25.300 | 4.270 |
| ბოლნისის | 15.500 | 2.790 |
| გარდაბნის | 12.000 | 474 |
| ზესტაფონის | 28.000 | 256 |
| თერჯოლის | 24.200 | 215 |
| მაიაკოვსკის | 20.000 | 36 |
| ვანის | 20.000 | 7 |

კახეთის რაიონებში რთვლის დაწყებიდან მოკრეფილია 97.420 ტონა ყურძენი. ერთ დღეს — 14 სექტემბერს რესპუბლიკაში მოიკრიფა 11.438 ტონა.

რესპუბლიკაში 15 სექტემბრისათვის სულ მოკრეფილია 105.468 ტონა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 20.614 ტონით მეტი.

## მერთველეები ეშურებიან

თელავი. (საქ. კორ.). სექტემბრის მზე თანდათან უფრო შაქრავს ყურძენს თელავის რაიონის ზვრებში, ამასთან სულ უფრო ძლიერდება რთვლის ტემპიც. ყოველდღიურად 2.500-3.000 ტონა ყურძენი იკრიფება.

კარგი რთველი აქვთ სანიორის კოლმეურნეობის „მეგობრობის" მევენახეებს (თავმჯდომარე შ. აივაზოვი). ერთ დღეს 620 მკრეფავი მუშაობდა. მათ მიერ მოკრეფილ 331 ტონა ყურძენს 30 ავტომანქანა ეზიდებოდა ღვინის ქარხნებში.

კონდოლის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე თ. ახალმოსულიშვილი) 300 მკრეფავმა 203 ტონა ყურძენი მოკრიფა და ღვინის ქარხნებში გაგზავნა, ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ა. ალადაშვილი) ერთ დღეს მოიკრიფა 234 ...





... ლეიც მომავალი სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსანიშნავ შრომით ვახტზე დადგნენ, გადასინჯეს მანამდე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და პირობა დადეს სახელმწიფოს ორი ათასი ტონა ყურძენი მიჰყიდონ გეგმით გათვალისწინებული 1180 ტონის ნაცვლად.

... რცხნივ) და საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მესამე აგროგანყოფილების უფროსი თამაზ ბერიძიშვილი კრეფენ მოსავალს; რთველი ბაკურციხის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ყველანი ჩაის პლანტაციებში — დიდ გამარჯვებამდე!

## მეჩაიეებო, წინ, ნახევარმილიონიანი მიჯნის დასალაშქრავად!

საბჭოთა საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახლა დღენიადაგ იმისათვის ილწვიან, რომ დიდი შრომითი წარმატებებით შეეგებონ ჩვენი პარტიის XXVI ყრილობას. რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა უამინდობასთან ჭიდილში ხელხვავიანი შემოდგომა დაიყენეს — კახეთის ზვრებში ნამდვილად ბარაქიანი, ოქროს რთველია. დასავლეთში კი მეჩაიეები, რომლებმაც ჯერ კიდევ ჩაის ფოთლის კრეფის დაწყისშივე შეასრულეს მეათე ხუთწლედის დავალება, ყრილობისწინა ვახტზე ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ ხუთწლედში ექვსი წლის დავალება შეასრულონ.

და აი, მახარაძისა და ზუგდიდის რაიონებში იშვა კიდევ ერთი ახალი პატრიოტული თაოსნობა — მიმდინარე წელს ნახევარმილიონიანი მიჯნა უნდა დალაშქრონ ქართველმა მეჩაიეებმა. მათ ახლახან გამართულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე მიიღეს ერთო...

## ერთსულოვნად დავუჭიროთ მხარი მახარაძისა და ზუგდიდის რაიონების მეჩაიეთა პატრიოტულ თაოსნობას!

# ვიბრძოლოთ 490-500 ათასი ტონა ჩაის ფოთლისათვის!

### მახარაძისა და ზუგდიდის რაიონების მეჩაიეთა

# მიმართვა

### რესპუბლიკის ყველა მეჩაიეს

ძვირფასო ამხანაგებო!

ყოველი დღე გვიახლოებს ჩვენი დიადი ქვეყნის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას — სკკპ XXVI ყრილობას. დიდი პოლიტიკური და შრომითი ალმავლობის ვითარებაში მიმდინარე საერთო-სახალხო შეჯიბრებაში ჩაბმული თითოეული კომუნისტის, თითოეული მშრომელის პატრიოტული გადაწყვეტილებაა წარმატებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის ყველა დავალება, ...

... უნდა თქვან რესპუბლიკის მეჩაიეებმა, რომლებსაც შრომითი გამარჯვებებით არაერთხელ უსახელებიათ რესპუბლიკა.

საკმაოდ რთულ პირობებში მოუხდათ წლევანდელი სეზონის დაწყება ჩვენს მეჩაიეებს. ნაგვიანევი გაზაფხულის სუსხმა და ზაფხულის გვალვებმა შეაფერხა ჩაის ბუჩქის ვეგეტაცია. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა გასწიეს უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენის დასაძლევად. მეჩაიეთა მონდომებამ და გმირულმა შემართებამ სძლია ბუნების სტიქიას. ახლა უკვე ეჭვი აღარავის ეპარება, რომ მოიკრიფება და მრეწველობას ჩაბარდება ...

... ყრილობისათვის, ეს იქნება ჩვენი ღირსეული წვლილი რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის მიერ მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებაში, რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებასა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებაში.

მიმართვა მიღებულია მახარაძისა და ზუგდიდის რაიონების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე.






(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# მუქუზნის სამარკო

### რეპორტაჟი ღვინის ქარხნიდან

□

გურჯაანის რაიონის მუკუზნის მეორე ღვინის ქარხანაში თვალსა და გულსახარებს ქარვისფერი მტევნებით დატვირთული მანქანების კოლონები. ავტომობილები ერთმანეთს მიჰყვებიან, ქარხანაში ყურძენს წონიან, შაქრიანობის პროცენტს აზუსტებენ და სწრაფად ყრიან. ბუნკერებში, რომელთა თავზე წარწერილია: „სამარკო ღვინოებისათვის". რიტმულად მუშაობენ ყურძნის გადასამუშავებელი მანქანები. მანქანების ირგვლივ საქმიანად ფუსფუსებენ მექანიკოსები ა. ...

ლ. გოზალიშვილი, ვ. შალვაშვილი და თ. თევდორაძე ხელმძღვანელობენ, პირდაპირ გმირობად ჩაითვლება მუშების გ. ყაჭიურის, რ. მიტიჩაშვილის და სხვათა მიერ გაწეული თავდადებული შრომა. სწორედ მათი წყალობით 21 ათასი ტონის ნაცვლად ქარხანას ახლა შეუძლია მიიღოს და გადაამუშაოს 25.000 ...

— თქვენი სიტყვის შესრულებას რამე ხომ არ უშლის ხელს?

— მოგეხსენებათ, მერთველეებს და მეღვინეებს ახლა რესპუბლიკის მშრომელთა ყურადღება არ გვაკლია, მაგრამ გულისტკივილით მინდა ვთქვა საყვედური ჩვენი დედაქალაქის 26 კომისრის სახელობის ქარხნის კოლექტივის მისამართით, რომელიც ვერ გვამარაგებს ყურძნის საჭყლეტი მანქანების ბადეებით; რამდენჯერმე მივაკითხეთ, მაგრამ უკან ყოველთვის ხელცარიელი დავბრუნდით. ალბათ, ასეთ მდგომა...

# ა. ა. გრომიკო კუბას გაემგზავრა

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# პოლიტიკურ სწავლებაში დაუშვებელია ფორმალიზმი

ბოლო ხანს საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტი, ქალაქის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, გარკვეულ მუშაობას ეწევიან კომუნისტების, კომკავშირელებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინური განათლების სრულყოფისათვის, იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და მისი ქმედითობის ამაღლებისათვის. ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის მზადების პერიოდში ჩაიმართა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა, თეორიული კონფერენციები, მოეწყო ერთიანი პოლიტდღეები, თემატური საღამოები, ლექციათა ციკლები, საუბრები ლენინურ თემატიკაზე, ახალგაზრდობის ლენინური ჩათვლები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მასების სოციალურ-პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლებას, ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას ქალაქის სახალხო მეურნეობაში. წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით სამრეწველო წარმოების გეგმა შესრულდა 101,9 პროცენტით, პროდუქციის რეალიზაციისა — 103,2 პროცენტით, სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპისა — 112,3 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 114,3 პროცენტით.

მაგრამ ზუგდიდის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას პოლიტიკური სწავლების ეფექტიანობის ასამაღლებლად არსებითი ნაკლოვანებებიც ახასიათებს. პარტიის საქალაქო კომიტეტი, მისი ბიურო, კომკავშირის საქალაქო კომიტეტი სრულად ვერ იყენებენ პოლიტიკური განათლების სისტემის შესაძლებლობებს კომუნისტების, კომკავშირელებისა და უპარტიო აქტივის იდეურ წრთობაში. კონკრეტულ და გეგმაზომიერ მუშაობას სწავლებაში არსებული ფორმალიზმის ელემენტების გადაჭრით აღმოფხვრისათვის ცვლიან ზოგადი მსჯელობით იდეოლოგიური პრაქტიკის ნაკლოვანებებზე.

პარტიის საქალაქო კომიტეტის (საქალაქო კომიტეტის მდივანი იდეოლოგიურ მუშაობაში ც. თორდია), პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება (განყოფილების გამგე რ. ჯიქია), კომკავშირის საქალაქო კომიტეტი (პირველი მდივანი ნ. მალაშხია) ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ განვლილ სასწავლო წელს პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელისათვის პროგრამების შერჩევას. მეტ წილ პოლიტსკოლებში და სემინარებზე კვლავ ახალი სასწავლო კურსების გვერდის ავლით სწავლობდნენ წინა წლებში რეკომენდებულ საგნებს.

პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციისადმი ყურადღების მოდუნების შედეგად მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში პოლიტიკური განათლების ქსელის დაკომპლექტებისას არ იცავდნენ ზოგადი განათლების დონის შესაბამისად მსმენელთა შერჩევისადმი დიფერენცირებული მიდგომის პრინციპს. შრომითი კოლექტივების ბევრი წევრი ჩაბმული არ იყო სხვადასხვა ფორმის სწავლებაში.

ბევრ პირველად პარტორგანიზაციაში პოლიტიკური სწავლების სკოლები და სემინარები ფაქტობრივად არ მოქმედებდა, ცალკეული პარტორგანიზაციების მდივნებს თვითონაც არ ჰქონდათ გააზრებული პოლიტსწავლების ორგანიზაციის პრინციპები.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს პროპაგანდისტული კადრების შერჩევას, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ მუშაობს პირველწყაროებზე, არა აქვს პირადი შემოქმედებითი გეგმები, მეცადინეობისას არ იყენებს თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოებს, პროპაგანდის ტექნიკურ საშუალებებს, მსმენელებს არ ზრდის მეურნეობრიობის საუკეთესო მაგალითებით. ამის გამო მეცადინეობები მიმდინარეობდა მოსაწყენად, არ უკავშირდებოდა წარმოების საარსებო პრობლემებს.

სერიოზული ხარვეზები ახასიათებს პოლიტსწავლებას პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც ცალკეულ სემინარებსა და პოლიტსკოლებს შეფობენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ც. თორდია, პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე რ. ჯიქია, საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ბოკუჩავა.

საქალაქო კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ცუდად მუშაობენ პროპაგანდისტთა კადრების თეორიული და მეთოდიკური მომზადების, მათთვის პედაგოგიური ჩვევების ჩანერგვის, პროპაგანდისტთა რეზერვის მომზადების საკითხებზე. პოლიტიკური განათლების დახვეწაში პარტიის საქალაქო კომიტეტს ნაკლებად ეხმარება საქალაქო გაზეთი „მებრძოლი" (რედაქტორი ი. ქორთუა). იგი თავის ფურცლებზე არ აშუქებს პრობლემებს, რომლებიც პროპაგანდისტებსა და მსმენელებს აღელვებს.

პოლიტიკურ სწავლებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები იმის პირდაპირი შედეგია, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომებზე, პირველად ორგანიზაციებში ძალზე იშვიათად განიხილავენ მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლების შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, მისდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს. მეტიც, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხების განხილვისას უზრუნველყოფილი არ არის მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების მდგომარეობის ღრმა და კონკრეტული ანალიზი.

ზუგდიდის მთელ რიგ პარტორგანიზაციებში პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციის ნაკლოვანებები, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობისადმი ყურადღების მოდუნება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში დაშვებულ შეცდომებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მრეწველობამ 1979 წელს და 1980 წლის პირველ ნახევარში საერთოდ გადაჭარბებით შესრულა მთლიანი პროდუქციის წარმოების დავალებანი, ცალკეულმა საწარმოებმა თავი ვერ გაართვეს ზოგიერთ სახეობათა გამოშვების, აგრეთვე კაპიტალდაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებს, ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის მატება შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე, შეანელეს პროდუქციის რეალიზაციის ტემპი.

ქალაქში მნიშვნელოვანია სამუშაო დროის დანაკარგები. ზოგიერთ საწარმოში დიდია კადრების დენადობა.

ქალაქში კვლავ არის პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულობათა, [illegible]

[illegible] ზუგდიდის [illegible] მთელი რიგი სხვა კონკრეტული ღონისძიებანიც ქალაქ ზუგდიდში და მთელ რესპუბლიკაში მშრომელთა პოლიტიკურ სწავლებაში ფორმალიზმის ელემენტების დასაძლევად. (საქინფორმი).

## [illegible]

[illegible]

## საქართველოს წიგნისმოყვარულთა საზოგადოების გამგეობის პლენუმი

[illegible] საქართველოს სსრ წიგნისმოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების გამგეობის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა გაათავისუფლა ჯ. ლომაშვილი რესპუბლიკის წიგნისმოყვარულთა [illegible] გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან. გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულია ღ. კაკაბაძე. (საქინფორმი).

# ეკონომიკურ განათლებას — სამინისტროების ყურადღება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებმა ამ დღეებში მოაწყვეს თათბირი ახალ სასწავლო წელს მშრომელთა ეკონომიკური განათლების საკითხებზე. მასში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრების მოადგილეებმა — ეკონომიკური განათლების საბჭოების თავმჯდომარეებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საზოგადოება „ცოდნის", დარგობრივი პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტების, მთელი რიგი ცენტრალური გაზეთების პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

თათბირზე განიხილეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ქალაქ ალმა-ათაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის შესაბამისად, ეკონომიკური განათლების სისტემის მუშაობის თავისებურებანი სკკპ XXVI ყრილობის მომზადებასთან და ჩატარებასთან, მეათე ხუთწლედის დასრულებასა და მეთერთმეტე ხუთწლედის დადგომასთან დაკავშირებით.

(საკდესი).

## სოფლად არიან შრომითი რაზმები

# ბარაქალა თქვენ, სტუდენტებო!

ჯერ კიდევ არ დამცხრალა იმ შემართებისა და ენთუზიაზმის ექო, ჩვენი ქვეყნის სტუდენტმა ახალგაზრდობამ ამ ზაფხულს, მესამე შრომით სემესტრში რომ გამოიჩინა. მთელი ქვეყნის ახალგაზრდობასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის ასიათასობით ახალგაზრდამ მესამე სემესტრში თავდადებული შრომის ჩინებული მაგალითი გვიჩვენა. მათ არათუ პირნათლად შეასრულეს სამუშაოები, არამედ გადააჭარბეს კიდეც ნაკისრ ვალდებულებებს.

ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელები კარგად გაისარჯნენ ქვეყნის დამკვრელურ მშენებლობებზე, ველ-მინდვრებში, პლანტაციებში და ღირსეული წვლილი შეიტანეს მეათე ხუთწლედის ყულაბაში.

და აი, ამ შემოდგომაზეც კიდევ ერთი ახალგაზრდული შემართების მოწმენი გავხდით.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღეს დადგენილება „1980 წლის მოსავლის აღების უზრუნველყოფის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების დამატებითი ღონისძიებებისა და 1980-81 წლის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების შესახებ", რომელშიც დასახულია უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კამპანიების დროული და ხარისხიანი მომზადებისათვის საჭირო დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების მობილიზაციის ფართო ღონისძიებათა პროგრამა.

ამ დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის კომკავშირმა, საშუალო და სპეციალური განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა განსაზღვრეს მოსავლის აღებაში უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები და მიიღეს შესაბამისი დადგენილება, რომელსაც აქტიურად გამოეხმაურნენ რესპუბლიკის თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და ტექნიკუმების მოსწავლეები. მათ გადაწყვიტეს მხარში ამოუდგნენ სოფლის მშრომელებს საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით დამთავრებისათვის.

სამშობლოს მოწოდების პასუხად საშემოდგომო სამუშაოებში 3.900 ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას. ამისათვის ისინი ბრიგადებსა და რაზმებში გაერთიანდნენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველი შრომითი ბრიგადები უკვე გაჩნდნენ კახეთისა და ქართლის რაიონების ვენახებსა და ხეხილის ბაღებში. სტუდენტთა ბრიგადების უმეტესი ნაწილი კი ამ დღეებში მიაშურებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

შრომის დიდი ნაყოფიერების მისაღწევად ბრიგადებს შორის გაჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება, გათვალისწინებულია მოეწყოს დამკვრელური შრომის დღეები და გამომუშავებული თანხა სოლიდარობის ფონდში გადაირიცხოს. რაზმებში მოეწყობა ლენინური გაკვეთილები. თავის მხრივ, უფროსებიც არ დარჩებიან ვალში. ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ყოფა-ცხოვრებისა და აქტიური დასვენების კარგი პირობები შეუქმნან ახალგაზრდებს.

მაშ ასე, თანდათანობით საქართველოს ყველა რაიონსა თუ კუთხეს მოედება ახალგაზრდობის ომახიანი შრომის ყიჟინა. ისინი, წარსულში მრავალი ჩინებული თაოსნობის მოთავენი, იმედია, ამჯამადაც სასახელო შრომით ადიდებენ სამშობლოს.

**რ. მუხიგულაშვილი.**

# დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ა

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:**

**ხანგრძლივი** და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ილია თადეოზის ძე **კაჩმაზოვი** (ცაგარაგი) დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**ნაყოფიერი** სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ზურაბ ბესარიონის ძე **კუხიანიძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**ნაყოფიერი** შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ამხ. ირაკლი გიორგის ძე **ყანდაშვილი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

# საერთაშორისო ცხოვრება დღედამის ფურცელი

**საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ**

# მოითხოვენ ტერორისტული ჯგუფების მოსპობას

**ნიუ-იორკი,** 15 სექტემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა იმ ტერორისტული ჯგუფების დაუყოვნებელი ლიკვიდაცია, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობებისათვის, კერძოდ, კუბელი დიპლომატის ფელიქს გარსია როდრიგესის მკვლელობისათვის. კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტის ფიდელ კასტროსადმი გაგზავნილ თანაგრძნობის დეპეშაში ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალური მდივანი გას ჰოლი და ეროვნული თავმჯდომარე ჰენრი უინსტონი აღნიშნავენ, რომ ამგვარი ჯგუფები მოქმედებენ შეერთებული შტატების აშკარა წაქეზებით.

„კუბელ ემიგრანტთა ტერორისტული ორგანიზაციების ქსელი, — ხაზგასმულია დეპეშაში, — თავის არსებობას, აღჭურვასა და მომზადებას უნდა უმადლოდეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს. ეგრეთ წოდებული „ომეგა-7" ორგანიზაციისა და სხვა ფაშისტური ანტიკუბური ჯგუფების წევრები სჩადიან მკვლელობებს და პროვოკაციებს ახდენენ შეერთებული შტატების ტერიტორიაზე სრული დაუსჯელობის პირობებში".

„ჩვენ პრეზიდენტ კარტერისა და სახელმწიფო მდივან მასკისაგან მოვითხოვთ ყველა საჭირო ღონისძიება განახორციელონ დემოკრატიისა და ადამიანის სიცოცხლისადმი ამ საფრთხის აღმოსაფხვრელად", ხაზგასმულია ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის დეპეშაში.

# ადამიანის უფლებათა დასაცავად

ჟენევა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დიდ შეშფოთებას გამოთქვამს ბოლივიაში ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების გამო.

ქვეკომისიამ, რომლის სხდომები ჟენევის ერთა სასახლეში ეწყობა, ბოლივიის ხელისუფალთ მოსთხოვა „დაიცვან ადამიანის უფლებათა მსოფლიო დეკლარაცია, ქვეყანაში აღადგინონ ადამიანის ძირითადი უფლებები და პატივი სცენ მათ".

სხვა რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა ქვეკომისიის შემდგომ სესიაზე განიხილონ მკვიდრი მოსახლეობის, კერძოდ, ავსტრალიის აბორიგენების დისკრიმინაციის საკითხი.

ამასთან აღნიშნავენ, რომ 1978 წელს რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამართულმა მსოფლიო კონფერენციამ „განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა ამ მხრივ".

## მოკლედ ყოველი მხრიდან

*15 სექტემბერი*

● **ბელგრადი.** ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა იუგოსლავიის ქალაქ პრიბოის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა. აქ კონვეიერიდან ჩამოვიდა 15 ტონა ტვირთამწეობის მძიმე თვითსაცლელების პირველი პარტია.

● **ბრიუსელი.** ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრ ქვეყნებში მიმდინარე წლის ივნისის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა 0,1 პროცენტით შემცირდა 1979 წლის ამავე პერიოდთან შედარებით. ამას იუწყება ევროპის გაერთიანებათა კომისიის სტატისტიკური სამსახურის ბიულეტენი.

● **ბაღდადი.** ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მყარი მშვიდობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების სრული და უთუო გამოყვანისა და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებების განხორციელების საფუძველზე, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ ერაყ-ზამბიის ერთობლივ კომუნიკეში.

## სოციალისტურ ქვეყნებში



**ყოველწლიურად** მრავალი საცხოვრებელი სახლი შენდება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ბუდაპეშტში. თითოეული მათგანი გამოირჩევა სილამაზით და კარგად ერწყმის ქალაქის ძველსა და ახალ არქიტექტურას. რაც მთავარია, მშენებლები ცდილობენ კარგი საცხოვრებელი პირობები შეუქმნან მობინადრეებს. ამიტომ არის, რომ ბუდაპეშტელები ახალმოსახლეობისას ყოველთვის მარჯვენას ულოცავენ მშენებლებს.

**სურათზე:** ბუდაპეშტის უიპალოტის ახალი საცხოვრებელი უბანი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

# შემაშფოთებელი მანევრები

**ბრიუსელი,** 15 სექტემბერი. ბელგიის ზებრიუგის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე დილიდანვე მიმდინარეობს დანიის გემებიდან ბრიტანეთის არმიის ქვეგანაყოფების გადმოსხდომა. უახლოეს დღე-ღამეში აქ ჩამოიყვანენ 14 ათასამდე ინგლისელ ჯარისკაცსა და ოფიცერს. ზებრიუგე ერთი იმ პუნქტთაგანია, სადაც ნატოს არსებობის მანძილზე უდიდეს, „კრუსეიდერ-80" კოდური სახელწოდების მანევრებში მონაწილეობის მისაღებად ამ დღეებში ჩამოდიან ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების შენაერთები.

ჯერ კიდევ ამ წვრთნის წინ დასავლეთ ევროპაში ნატოს სამხედრო ბაზებში ჩაიყვანეს 7,5 ათასი ინგლისელი სამხედრო მოსამსახურე, ჩაიტანეს დიდძალი საბრძოლო ტექნიკა. ახლა ლონდონის, გლაზგოს, მანჩესტერის მახლობლად მდებარე სამხედრო და სამოქალაქო აეროდრომებიდან გადაჰყავთ ბრიტანეთის ჯარების სულ ახალ-ახალი ნაწილები. მარტო ამ „საჰაერო ხიდით" რამდენიმე დღე-ღამეში ინგლისიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ბელგიაში 15 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს გადაიყვანენ.

**ლონდონი,** როგორც ინგლისის ჟურნალი „ნაუ" იუწყება, სულ „კრუსეიდერ-80" წვრთნაში მონაწილეობას მიიღებს 76 ათასზე მეტი ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურე. მათ შორის დროებითი გაწვეული რეზერვისტებიც, აგრეთვე 400 ტანკი და დიდძალი სხვა საბრძოლო ტექნიკა. კონსერვატორთა მთავრობის მიერ წამოწყებული ეს სამხედრო „თამაში" ინგლისელ გადასახადთა გადამხდელებს 8 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდებათ.

ამ დღეებში დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე გაჩაღებული „კრუსეიდერ-80" უპრეცედენტო მასშტაბის მანევრები და მასში ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ესოდენ ფართო მონაწილეობა ინგლისის საზოგადოებრიობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

# ირან-ერაყის საზღვარზე

**ბაღდადი,** 15 სექტემბერი. ერაყის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ერაყის საინფორმაციო სააგენტოს აცნობა, რომ ამა წლის 13 სექტემბერს ირანის სამხედრო თვითმფრინავები რამდენჯერმე დაესხნენ თავს ერაყის სასაზღვრო საგუშაგოებს დიალის პროვინციის ქალაქ მანდალის რაიონში და ვასითის სექტორში.

საჰაერო თავდაცვის საშუალებებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის თვითმფრინავი.

ნაშუადღევს, ნათქვამია განცხადებაში, ირანის ჯარებმა არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ერაყის ქალაქ მანდალის, რის შედეგადაც დაიჭრა შვიდი მშვიდობიანი მცხოვრები.

ამის პასუხად ერაყის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ირანის ქალაქ სუმარს, ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები კი თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის სატრანსპორტო კოლონას ქალაქ ხოსროვის მახლობლად და მოსპეს რამდენიმე ავტომანქანა.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 4-10 სექტემბრის პერიოდში მარტო ქალაქ ქასრე-შირინის რაიონში ირანელებს მოუკლეს 51 და დაუჭრეს ასზე მეტი კაცი.

**პარიზი.** ფრანს პრესის სააგენტომ გადმოსცა თეირანის რადიოს ცნობა, რომ ირანისა და ერაყის ჯარების შეიარაღებული შეტაკებანი ხდება ქალაქების ქასრე-შირინსა და აბადანს შორის მდებარე 600-კილომეტრიან მონაკვეთზე ირანის ტერიტორიის სიღრმეში.

თეირანის რადიოს ცნობით, ირანის პრეზიდენტი ბანისადრი და პრემიერ-მინისტრი რაჯაი, რომლებიც სასაზღვრო რაიონებში მოგზაურობენ, შეხვდნენ ირანის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებს და განიხილეს ირან-ერაყის საზღვარზე მომხდარი მოვლენების განვითარება.

## „კომუნისტის" მიმოხილვა

# გასულ კვირაში

### სამხედრო გადატრიალება თურქეთში

**თ**ამამად შეიძლება ითქვას, რომ ანკარიდან მიღებული ცნობა სამხედრო გადატრიალების შესახებ არავისთვის არ ყოფილა მოულოდნელი. უკანასკნელი წლების განმავლობაში თურქეთი სრულმა ქაოსმა მოიცვა და ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში სამხედროებმა არაორაზროვნად გააფრთხილეს სამოქალაქო ხელისუფლება, თუ შემდგომშიაც ვერ გაართმევთ თავს ქვეყნის წინაშე მდგომ ამოცანებს, საქმეში არმია ჩაერევაო. მთავრობა კი მართლაც უძლური აღმოჩნდა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ქვეყნის ეკონომიკა, უმუშევართა რიცხვმა 20 პროცენტს გადააჭარბა, საშინაო მაჩვენებლით გამოიხატება ინფლაცია, სახელმწიფო საწარმოებში ხუთჯერ მეტი ადამიანი მუშაობს, ვიდრე არსებულ სიმძლავრეებს სჭირდება. მაგალითად, ისკენდერონის მეტალურგიულ ქარხანაში დასაქმებულია 20 ათასზე მეტი მუშა, საწარმოო სიმძლავრეები კი გათვალისწინებულია მხოლოდ 6 ათასისათვის. მეტად დაბალია შრომის ნაყოფიერება. თურქეთში 18 ათასი მეტალურგი წელიწადში ადნობს 250 ათას ტონა ფოლადს, მაშინ როდესაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 2 ათასი მეტალურგი მილიონ ტონაზე მეტს ადნობს.

სახელმწიფო საწარმოთა დეფიციტმა მიმდინარე წელს ასტრონომიულ ციფრს — 200 მილიარდ ლირას გადააჭარბა, სახელმწიფო ბიუჯეტი კი 700 მილიარდ ლირას შეადგენს. საბითუმო ეროვნული პროდუქტის 50 პროცენტს გადააჭარბა უცხოეთის ვალმა. უმუშევრობის გამო ფართო ფორმები მიიღო ემიგრაციამ. მილიონმა ადამიანმა დატოვა სამშობლო, უშედეგო გამოდგა აგრარული რეფორმაც.

სხვადასხვა რაიონის არათანაბარმა განვითარებამ ქრონიკული ხასიათი მიიღო, ძლიერ ჩამორჩენილია ქვეყნის სამხრეთი და აღმოსავლეთი რაიონები, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ თურქეთის ქურთისტანი. ასე, მაგალითად, თუ სტამბოლის 2,5 მილიონ მცხოვრებზე მოდის მთელი თურქეთის ექიმთა 37,5 პროცენტი, ქურთისტანის 8,5 მილიონ მცხოვრებზე, — მხოლოდ 6,8 პროცენტი. ქურთისტანის ჰაკიარის ვილაიეთში ერთი ექიმი მოდის 100 ათას მცხოვრებზე.

ეთნიკური და რელიგიური მოსაზრებებით გამოწვეულ დაძაბულობას კიდევ უფრო ამძაფრებს სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა. მთელი მოსახლეობის 20 პროცენტს ეკუთვნის ეროვნული შემოსავლის 57 პროცენტი. მხოლოდ ერთი ქალაქი — სტამბოლი იძლევა ეროვნული შემოსავლის „40 პროცენტს.

ზოგიერთი უცხოელი მიმომხილველის აზრით, თურქეთის სახელმწიფო სიძნელეები ხელოვნურად არის გამოწვეული 70-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც იმდროინდელი პრემიერი ეჯევითი შეეცადა იზოლაციიდან გამოეყვანა ქვეყანა და გაეუმჯობესებინა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ამან ქვეყნის მემარჯვენე წრეების და საერთაშორისო რეაქციის შეშფოთება გამოიწვია. ქვეყანა ტერორიზმმა მოიცვა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ტერორიზმმა დახოცილთა და დაინვალიდებულთა სახით 20 ათასზე მეტი კაცი იმსხვერპლა. მართლმსაჯულება სრულიად უძლური აღმოჩნდა დანაშაულობებთან ბრძოლაში. როგორც უმაღლესი სასამართლო საბჭოს თავმჯდომარე მაჰსარ ბედაქი ამბობს, „თურქეთში არ არსებობს მოსამართლე, რომელსაც სიკვდილით არ ემუქრებოდნენ". მშვენივრად არიან ორგანიზებული და განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენენ მემარჯვენე ექსტრემისტები, რომელთა ლიდერია, ულტრამემარჯვენე, ეროვნული მოძრაობის პარტიის გენერალური თავმჯდომარე, ყოფილი პოლკოვნიკი ალფარსლან თურქეში. თურქეშის პარტიას მხოლოდ 16 დეპუტატი ჰყავს 450-ადგილიან ეროვნულ კრებაში და სიდიდით ქვეყნის მეოთხე პარტიაა, მაგრამ იგი გაცილებით ძლიერი და გავლენიანია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. სწორედ თურქეშისა და კიდევ ერთი პატარა პარტიის მხარდაჭერით ძლებდა ხელისუფლების სათავეში დემირელის უმცირესობის მთავრობა. სამაგიეროდ, როგორც ეჯევითი ამტკიცებდა, მთავრობა თავის მფარველობას არ აკლებდა მემარჯვენე ტერორისტებს. რაც შეეხება თურქეშის ფაშისტურ სიმპათიებს, ეს კარგად არის ცნობილი. რიბენტროპის უწყების არქივში დაცულია დოკუმენტი, რომელშიც იმ პირთა შორის, რომელთაც „კარგი ურთიერთობა" ჰქონდათ ნაცისტებთან, პირველად მოხსენიებულია ოფიცერთა სკოლადამთავრებული თურქეში. იგი მარტო პოლიტიკური პარტიის დაარსებას როდი დასჯერდა. სწორედ მის მიერ შექმნილი გასამხედროებული ორგანიზაცია „რუხი მგლები", შიშის ზარს რომ სცემს მშვიდობიან მოსახლეობას. ივლისში მოკლეს ყოფილი პრემიერი ერიმი — კონსერვატორი, დეპუტატი, სოციალ-დემოკრატი, პროგრესიული პროფკავშირული მოღვაწე.

ფართო მასების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას საგრძნობლად უწყობს ხელს აგრეთვე გამალებული შეიარაღება. მარტო მიმდინარე წელს შარშანდელთან შედარებით 75 პროცენტით გაიზარდა პირდაპირი ასიგნებანი სამხედრო საჭიროებისათვის. მან უკვე 113 მილიარდ ლირას გადააჭარბა. მილიტარიზაციას კი მუდამ და ყველგან თან სდევს ინფლაცია და ფასების ზრდა. მხოლოდ მიმდინარე წლის იანვარში, თურქული ლირის მორიგი დევალვაციის შემდეგ, თითქმის 70 პროცენტით გაძვირდა სურსათი და ტრანსპორტით მგზავრობა, 100 პროცენტით — ქვანახშირი, 60 პროცენტით — ნავთობი და ბენზინი, 200 პროცენტით — ელექტროენერგია. ზამთარში ეკონომიის მიზნით მთავრობამ ელექტროენერგიაც კი გამორთო. ანკარაში 20 გრადუსი ყინვა იდგა, გაუთბარ ბინებში კი 5 გრადუსი სიცივე იყო.

როგორც ადგილობრივი გაზეთები წერდნენ, ივლისის დამლევს სამხედროებმა პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელს გადასცეს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელშიც ტერორიზმთან ბრძოლის პროგრამა იყო ჩამოყალიბებული. ასეთ ვითარებაში ორი წამყვანი პარტიის პოზიცია რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან — დემირელი მოითხოვდა შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნების მოწყობას, ეჯევითი პირიქით — იმ აზრს ადგა, რომ დემირელის მთავრობა უნდა გადამდგარიყო. დროებითი პრეზიდენტი ჩაგლაიანგილი უშედეგოდ ცდილობდა ორი პარტიის პოზიციათა დაახლოებას...

... რაც შეეხება თვით სამხედრო გადატრიალების არსს, ამაზე მსჯელობა ჯერ ნაადრევია. ერთი რამ ფაქტია — უკიდურესად მძიმე სიტუაციაში იკისრეს სამხედროებმა ქვეყნის მართვა.

**ს. ცინცაძე,**
„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

# მთას დაუბრუნდა მთიელი

## ქართული სოფლის ეპოპეა

გურჯაანისაკენ მიმავალ სატვირთო მანქანას შემოუჯდა... საღამოხანს იგი უკვე სოფელ გადრეკილში იყო. მეგობარს ცს ხარი და კავი გამოართვა და იმავე ღამეს ჰერემში ავიდა.

ბევრი არა, — ერთი ჩარექა მიწა მოხნა და სიმინდი დათესა.

სოფელ გამარჯვებაში არც მიწა აკლდა, არც პური და სიმინდი, ჯაფაც ნაკლები ჰქონდა. გამარჯვების გაშლილ მინდვრებს უხვად ასეოდნენ ტრაქტორები და სათესი მანქანები. მაშ რა ცოდვამ ამოიყვანა ჰერემში ოულად უანგარო და კოლექტიური შრომის ჩადაგებელი კაცი!

რა უნდოდა, რას დაეძებდა ცისანაზარად იგდებულ სოფელში...

მე ვერ დავარქვი ამ გრძნობას ზუსტი და მართალი სახელი. იქნებ შენ, ჩემო მკითხველო, ჩემზე უკეთესი ნათლია გამოდგე!

დათესა და ისევ გამარჯვებაში დაბრუნდა. ჰერემში ხშირად ამოდიოდნენ მეთვალყურეები. ფხიზლობდნენ, თვალს ადევნებდნენ, რომ ჰერემში არავინ დაბრუნებულიყო.

ერთხელ დაინახეს ახლად მოხნულ-დაფარცხული მინდორი და ქვეყანა შეჰყარეს, ვინა, ყანა, ვინ დათესაო!...

დაიწყეს კითხვა-გამოძიება, მაგრამ პასუხი არ იყო. პატრონი არა სჩანდა.

ჩავიდნენ გადრეკილში და ახლა იქაურეი დაჰკითხეს, იქნებ თქვენ იცოდეთ, ვინ ელშავმა გაბედა, ცოცხლების სიიდან ამოშლილ სოფელში ისევ სიცოცხლე შეიტანა და ანა დათესაო.

იცოდნენ, მაგრამ სდუმდნენ.

მეთვალყურეებმა გული არ გაიტეხეს, ინც ამ მიწაში თესლი ჩააგდო, იგი ყანას თოხოდ არ დატოვებსო.

მართლაც, სიმინდი დაორყურდა თუ არა, კაც ყანაში გამოჩნდა.

გამოჩნდნენ ისინიც, გახურებული თოხნის ოოს თავზე წაადგნენ და... — ახლა კი გაბითო! — უთხრეს და იქვე დააპატიმრეს, ისი „საქმე“ კი სახალხო სასამართლოს გასცეს.

გამოძიებამ ძველი „ცოდვები“ გაუხსენა იკა ჯაჭვაძეს: მოსკოვი, გორკინის სახელზე აწერილი საჩივარი, ხალხის წაქეზება, ჰეემიდან ფეხი არ მოიცვალოთო. გაუხსენეს რთი კაცის სოფელი, რამაც ქვეყანა აალარაკა.

მერე ბრალი დასდეს...

რა დანაშაულში?

სასამართლომ იმსჯელა და სახელმწიფო მიის დატაცებისათვის ნიკა ჯაჭვაძეს სამი წლის ოზე მიუსაჯა.

გაგეცინება, მკითხველო, — არა, გული ატკინება, თმა ყალყზე დაგიდგება, როდესაც ამგვარ წრეგადასულ უსამართლობას აწყდები...

კაცი დავბერდი, მთელი ჩემი დღე და მოსრება ქართული სოფლის ცხოვრების შუაულში ვტრიალებდი, და ჯერ ასეთი საარაო ამბავი არ გამიგონია. პატიოსანი მშრომელი კაცი ციხეში გამოამწყვდიეს მხოლოდ მიტომ, რომ მან სადღაც, ნაპარტახალ სოფელში ერთი ჩარექა მიწა მოხნა და სიმინდი დათესა.

შარშან კიდის-კიდემდე შემოვიარე ჰერეის ყოფილი საყანე მინდვრები და სათიბსაძოვრები. ჩემი მეგზურები გულისდამწველად მიამბობდნენ, როგორ დაიცალა სულაგან ჰერემის ერბო-სახნავები, გატიალდა ა გაველანდა ღვთის მადლით სავსე მინდორ-ველები.

მიწა კვდება, თუ სახნისი არ მოხვდა, თუ ელმა და ნამგალმა მიწისპირს არ გადაარა.

გურჯაანის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ აურ მანიაშვილმა მითხრა, შარშანწინ, როდესაც ჰერემში სტუმრები აიყვანეს, ახლოახლო ერთი ნაბდის გაშლა ადგილიც კი ვერ იპოვნეს, რომ დამსხდარიყვნენ და მუხიდან ქარი ამოეღოთო. გომბორის თვალწვდენელ კალთა-სერებს გაუვალი ღიჟი ა ნარეკლი მოსდებოდა. ნასახლარებს კაის სიმაღლეზე აყრილი შამბი და ქალტამი აეპატრონა.

გლეხმა თუ არა, მაშ ვინ იცის, რა ჭირი ეეყრება წლიდან წლამდე უხნავ მიწას.

ამ უგონო ადამიანებმა რამდენიმე ათასი ექტარი საუკეთესო მამული დაამჭლევეს ა ბერწად აქციეს, ერთი ჩარექა ყანის გაო კი ალალ-მართალ კაცს ციხე მიუსაჯეს!

უპატრონო ყანამ ტანი მაინც იყარა, მაძარი ტარო დაისხა.

ერთხელ ნიკას უფროსმა გოგომ ნათელამ ერემს ამოაკითხა. მათი სახლის უკან მტრეის კვერცხის ოდენა სამურაზე შინდი იცოა, ნახევარ კალათს დავკრეფ და პირის გაპაველებლად მამას საპატიმროში ჩავუტანო.

აგერ ის ყანაც... ნათელამ თვალებს არ უჯერა, — ჩატაროებულ სიმინდში გუშაების ცხენები სიმინდს ახრამუნებდნენ. ათი პატრონები კი იქვე მხართეძოზე წამოოლიყვნენ და თვლემას მისცემოდნენ. მინვრის პირზე ახლად მოთიბული ბალახის ულულები იდგა.

ნათელა ცხენებს გამოენთო.

— ვისი ხარ, გოგო! ცხენებს თავი გაანე, შენს გზას მიხედე! — დაუძახა ერთმა უშაგმა.

— შე მართლა პირუტყვო, შეიძლება ამისანა ყანაში პირუტყვის შეშვება! — დაჰელა ნათელამ.

— ხმა ჩაიგდე და აქედან მოუსვი, თორემ, ენც მაგ ყანის პატრონთან მიგაბრძანებენ! დაემუქრა იგი და ჯიქურ წამოვიდა მისენ.

ნათელა: — თვითონაც არ მახსოვს, როორ წამოუსვი ხელი იქვე დაგდებულ ნამალს და იმ მეხდასაყრელ ბიჭს ვესროლე. ერდზე გამიხტა, ჩემი ნასროლი ნამგალი ენს მოხვდა, წინა ფეხი გაუჭრა. თვალი ამიბნელდა, სისხლი რომ დავინახე, კაბას

ორივე სახელო წავაგლიჯე, და ჭრილობა შევუკარი. გუშაგები ენაჩავარდნილი მომჩერებოდნენ, მეგონა, მომკლავდნენ, მაგრამ პირუკუ მოხდა. დამამშვიდეს, დამიყვავეს, ნუ გეშინია, არას გერჩითო. მერე ერთმა რაღაც ნაჭრები მომაშველა, მეორე კი ცხენებს გამოუდგა, ყანიდან გადადენა.

ორი მრგვალი წელიწადი დაჰყო საპატიმროში ნიკა ჯაჭვაძემ, ერთი წელი აპატიეს.

გამარჯვებაში გული არ დაუდგა, მუკუზანში დასახლდა, მუშაობდა კოლმეურნეობაში, მაგრამ ის ძველი ძალა და ხალისი უკვე აღარ ეტყობოდა რწმენა დაკარგული კაცის ნახელავს.

მიდიოდნენ წლები. უკაცური ჰერემი ნელა-ნელა დაინგრა, გაუდაბურდა. ძველი საურმე გზაც ზვავმა და მეწყერმა წაიღო და წაშალა. სახურავჩამოშლილ ნასახლარებში ჰოტები ჰკიოდნენ, მოგზაური უკვე აღარ ეტანებოდა ამ ნაძრახ ადგილს, ჰერემის უძველესი და ულამაზესი ძეგლების მოყვარული კაცი თუ შემოეხეტებოდა დრო და დრო...

ასე დაედო სათავე იმ ბოროტებას, რასაც ხალხი დღემდე მანკიერი მოვლენების დროებას ეძახის. მანკიერების, განუკითხაობის, თვითნებობის, უსამართლობის დროებას, თითქმის ცხრამეტი წელიწადი რომ სძიძგნიდა და აფერხებდა საქართველოს წინსვლას.

რაც ჰერემის აყრა-გასახლება და სოფელ გამარჯვებაში დასახლება დაუჯდა სახელმწიფოს, ის ფული ჰერემის გზას კი არა, მთვარეზე ასასვლელ ქუჩაბანდს დააგებდა, მაგრამ პატაკების სიყვარულმა გონიერება გადაძალა და ჰერემი შეიწირა. ჰერემი აგვიანებდა ამ პატაკებს და სიმღერას აფუჭებდა.

ასეთი ბედი ხვდა საქართველოს მთიანეთის მრავალ სოფელს. დაცარიელდა რაჭის, ლეჩხუმის, ფშავ-ხევსურეთის მამულები.

„ქართლის ცხოვრებაში“ სრულიად ნათლად არის მინიშნებული, რომ ბახტრიონის ბრძოლა 1659 წელს შირაქის საზამთრო საძოვრების გამო გაიმართა.

შირაქი — ეს იყო ცხვარი და ძროხა. ხოლო ვისაც მეტი ცხვარ-ძროხა ჰყავდა, მისი ხმალი უკეთესად სჭრიდა და ციხე-სიმაგრეც შეუვალი ჰქონდა.

ამიტომ იყო, ჩვენი მთიელები შეაწყდნენ ბახტრიონის გალავანს და სანამ მტერს მუსრი არ გაავლეს, სასთუმალი რა იყო, ფიცის კაცებმა არ იცოდნენ.

განა მარტო მე-17 საუკუნეში! ასე ხმალჩაუგებლად იბრძოდა ქართველი კაცი, მთასა თუ ბარში, რომ ერთი ცელის მოსმა საძოვარიც კი მტრისათვის არ დაეთმო. და, არც უსარგებლოდ დაეტოვებინა.

მაგრამ დროთა განმავლობაში მოხდა ისეთი გაუგონარი ამბავი, როდესაც მთიელმა კაცმა თავისი საყვარელი შირაქი ასეთი ლექსით გაიმეტა:

**ოხრამც დარჩები შირაქო,**
**ძირიმც ჩაგიდგა ზღვაშია,**
**არცა იქ გამეხარება**
**ჩემ წუთის ქვეყანაშია,**
**მე აქ რაისად წამუე,**
**რად აღარ მოვკვდი მთაშია,**
**იქ დავიმარხო ძმებთანა**
**იქ თავის მიწაწყალშია!**
**გულდაგულ ამოვიკვნესე,**
**მიდგა ფეხები ბრალშია —**
**სილაღის მაგიერადა**
**სულ ცრემლი მიდგას თვალშია.**
**ახლა არწივნი ბუდობენ**
**ფშავში ჩემს ნაბუდარშია.**
**იქოურ ჩვეულებრივა**
**ახლა აქ წაველ მთაშია,**
**დავლიე მთელი ზაფხული**
**სულ ვაის საუბარშია,**
**ოხრამც დარჩები, შირაქო,**
**ძირიმც ჩაგიდგა ზღვაშია.**

რამ ათქმევინა ეს საშინელი, ჯოჯოხეთური წყევლა მთიელ კაცს, რამ შესძრა და გაამწარა მისი სული ასე უსაზღვროდ!

ბუდის მოშლამ.

მთიელ კაცს ბუდე მოუშალეს და იმ შირაქს, რომელსაც მანამდე ასე ეფერებოდა და ელოლიავებოდა, ახლა წყევლა-კრულვა შეუთვალა.

**მე აქ რაისად წამუე,**
**რად აღარ მოვკვდი ფშავშია...**

გადავფურცლოთ მატიანე, გავიხსენოთ ჩვენი მთისა და ბარის ურთიერთობა. ისინი მუდამ განუყრელნი იყვნენ, როგორც ერთ ულელში შებმული ხარები. არავის არ უკვიროდა და არც არაფერს აფუჭებდა მთიელი კაცის ჩამოსახლება ბარში, რადგან ჩამოდიოდა მხოლოდ მოსახლეობის ნამატი. ეს იყო სრულიად ბუნებრივი მოვლენა და ამიტომ დაუჭირა მხარი დიდმა ვაჟა-ფშაველამ შირაქში მთიელების ჩასახლებას.

ბარში დალია სული მთის უკვდავმა მომღერალმა. სიკვდილის წინ ფშავის კლდეების წყაროს წყალი ელანდებოდა, წიფლისა და ნეკერჩხალის ფოთლები დამყარეთო გულმკერდზე, ეხვეწებოდა მეგობრებს, — მომარჩენსო...

ვინ დაიჯერებს, რომ ასეთი კაცი საქართველოს მთიანეთის დაცარიელებას შეუწყობდა ხელს, მაგრამ დაირღვა ცხოვრებისა და ისტორიის ეს ბუნებრივი დინება და წონასწორობა, დაირღვა ერთი საბედისწერო შეცდომის გამო. ნაცვლად იმისა, რომ გაგვეცხადებინა ერთი ძველი გამონათქვამი —

**მთას მიეც მთისა,**
**ბარსა-ბარისა...**
**მოგეცეს მადლი**
**წმინდა ჯვარისა...**

ჩვენ სხვა ფიქრი გაგვიჩნდა გულში:

ბარს კი მიეცა ბარისა, მაგრამ უგზოობაში მიკარგულ მთიანეთს ჯერ კიდევ ვერ მისწვდა ჩვენი დროის ყველა სიკეთე, ჯეროვნად ვერ ჩაება იმ დიდი ცხოვრების ფერხულში, რითაც სულდგმულობს მთელი ჩვენი ქვეყანა.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა მეტად იოლი გზა აირჩია, რომ ამ ეროვნულ საზრუნავს საშველი დასდგომოდა. მიაყენეს მთას სატვირთო მანქანების მთელი ქარავანი და მთიელთა ოჯახები ბარში ჩამოჰყარეს.

მართალია, ბარში ისინი უყურადღებოდ არავის დაუტოვებია, მაგრამ უკაცოდ და უპატრონოდ დარჩა უთვალავი სათიბ-საძოვარი, უთვალავი საყანე მინდორ-ველი. თვალი გადაავლეთ ვეება მთიანეთს, მიტოვებულ სოფლებში თითო-ოროლა კაცი მოჩვენებასავით გამოჩნდება ხოლმე.

ახლა ჰერემელი შაქრო ბარბაქაძის ნათქვამიც გაიხსენეთ, — „რანი ვართ ბარში ჩამოყრილები, — ცარიელი ხალათი და ცარიელი შარვალი! ჩვენი სული და ხორცი გომბორის კალთებზე დარჩაო“...

ამ აჩქარებულმა ღონისძიებამ, ამ ხელოვნურმა გადარგვა-გადანერგვამ რამდენი სათიბ-საძოვარი დაუკარგა ქვეყანას, რამდენი ცხვარ-ძროხა დააკლო ჩვენი სოფლის მეურნეობას. და რამდენ კაცს შრომის მადლი გაუნახევრა.

ბარშიც კი იშვიათად მოიძებნება ისეთი ათასფრად აღალანებული საძოვრები, როგორიც მოიპოვება თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის მდელოებზე, გომბორის კალთებზე, ბორჯომისა და თორის ხეობებში, აჭარა-აფხაზეთის ქედებზე.

არ არის უფრო დიდი ცოდვა ქვეყანაზე, ვიდრე ასეთი ადგილ-მამულების დატოვება უკაცოდ, უპატრონოდ, გაუხარებლად...

უკაცო მიწა ან უდაბნოდ იქცევა, ან კიდევ ეშმაკის კერძი გახდება.

### თავი მეოთხე

## ჟამი ამაღლებისა

მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, უკუღმა დაჭედილ ბედაურს ხელმართალი ნალბანდი გამოუჩნდა.

შეიცვალა დროება. შეიცვალნენ ისინიც, ვისაც ხალხის ბედი ეკითხებოდა. კაცი ბჭობდა, მაგრამ ღმერთი უკვე აღარ იცინოდა, რადგან ორივეს, ღმერთსაც და კაცსაც ერთი და იგივე საფიქრალი გაჩენოდა.

კარგახანს ვიცხოვრე გურჯაანში. არ დამიტოვებია თითქმის არც ერთი სოფელი, სადაც რამდენჯერმე არ ვყოფილიყავ და მისი ავკარგი არ გამეგო. ჩემთან ერთად გურჯაანში იმყოფებოდა სტენოგრაფიის კარგი მცოდნე ჟურნალისტი ქალი ლილი ფულარიანი. მისი მეგობრული დახმარება თუ არა, თავს ვინ გაართმევდა ამდენ საუბარს მთასა და ბარში, ყანასა თუ ვენახში, კოლმეურნეობის კანტორაში თუ გლეხის კარმიდამოში. ერთი კალამი როგორ მოერეოდა ამდენ მოგონებას, ძველი და ახალი ოქმებიდან მრავალ ამონაწერს და ციფრებს, ციფრებს, ურომლისოდაც ყოველი სიმართლე ცაში გამოკიდებული რჩება.

ერთმა ციფრმა იმერეთი გამახსენა.

ცუდად გამახსენა.

თვალებს არ დავუჯერე, როდესაც ერთი საბუთი მაჩვენეს.

„ჯერ კიდევ სამიოდე წლის წინათ გურჯაანის რაიონში 19 კომლზე 1 ძროხა მოდიოდა“.

ცხრამეტი კომლი და ერთი ძროხა!

ახლა კი ცოტა შორიდან მინდა დავიწყო.

სამოცდაათიანი წლების დამდეგს ბევრი ვიმოგზაურე დასავლეთ საქართველოს სოფლებში. ერთი საოცარი ამბავი გულზე მწარედ მომხვდა და გაჩუმება არ შემიძლია.

ჩემი ბავშვობა და სიჭაბუკე არასდროს არ დაშორებია იმერეთის სოფელს. ახლაც თვალწინ მიდგას იმერელი გლეხის ძველი კარმიდამო.

რაგინდ გაჭირვებული უნდა ყოფილიყო ჩვენებური კაცი, ორი თუ არა, ერთი მეწველი ძროხა მაინც დაუდიოდა ეზოში. ყავდა თხა და ღორი, მრავლად — შინაური ფრინველი.

ახლა რომ ჩავუარე სოფლის ეზოებს, მართალი გითხრათ, ცოტა გული დამწყდა. ის ეზოები ნახევრად დაცარიელებული მეჩვენა. ძროხა აგერ-ეგერ სჩანდა. შინაური ფრინველიც შეთხელებულიყო, თხის წვეტიანი რქებიც აღარსად დამინახავს, არც ეზო-კარში, და აღარც ეკალ-ბარდებში.

ახლა ეზოებში ძროხების ნაცვლად წითელყვითელი ქიგულები იდგნენ, რძისა და ყველის ნაცვლად ბენზინისა და ტაოტის სუნი ტრიალებდა.

მერწმუნეთ, მე კარგად ვიცი მანქანის ფასი და სიკეთე ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში, მაგრამ ერთი რამ პირდაპირ უნდა ითქვას: მანქანამ ძროხა არ უნდა გააგდოს კოლმეურნე გლეხის ეზოდან.

შეიძლება ეს ჩემი ნათქვამი ვინმეს გადაჭარბებად მოეჩვენოს... ნუ ავჩქარდებით, დავუკვირდეთ ჩვენი გლეხობის ერთი ნაწილის გამრუდებულ გზას, რამაც გლეხი მწარმოებელი ლამის მარტო მომხმარებლად აქციოს. გათენებისას ჩაჯდება მანქანაში, ჩამოდის ქალაქში და ყიდულობს ყველაფერ იმას, რასაც თვითონ უნდა ჰქმნიდეს და ყიდდეს.

ამ უგვანო მოვლენას უპირველეს ყოვლისა ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თავის დროზე სოფლის თავკაცებმა ზურგი შეაქციეს გლეხის კარის მეურნეობას, ჯეროვნად ვერ შეაფასეს მისი ძალა და სარგებლიანობა. გადახნეს სასოფლო საძოვრები და გლეხის ეზოდან გამოსულ ძროხას კუდის მოსაქნევი ადგილიც აღარ დაუტოვეს.

ოჯახის მარჩენალი ძროხა მალე თვითონ გახდა სარჩენი და სათრევი, რადგან მისი შენახვა და მოვლა-პატრონობა უფრო მეტი უჯდებოდა მიწის მუშას, ვიდრე იმ საქონელს სარგებელი მოჰქონდა.

კარგად გამართული პირადი მეურნეობა კოლმეურნე გლეხს გადააგვარებს და კოლექტივს გამოაცლისო, ამტკიცებდნენ ზოგიერთები და ალვირს უმოკლებდნენ ყველაფერს, რაც კი ხელს მოუმართავდა დამხმარე მეურნეობის განვითარებას.

განახლების წლებმა საბოლოოდ გამოაცალა ნიადაგი ამ ჭკუამოკლე სიბრძნეს, საქართველოს კომპარტიამ უკვე გამოიტანა დადგენილება საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარების თაობაზე, და იმ სოფლებში, სადაც გონივრულად მოიქცნენ და კერძო საქონელს საძოვრები გამოუყვეს, თივა და ჩალა არ დაიშურეს, — ვიმეორებ, იმ სოფლებში მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. მრავალი პირადი მეურნეობის გაცნობა-შესწავლამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ ვისაც კარგი მეწველი საქონელი ჰყავდა, კარგად გამართული ბაღჩა-ბოსტანი ჰქონდა და ქათამიც კვერცხზე უჯდა, იმ კოლმეურნეს ყველაზე მეტი კაცდღე ეწერა შრომის წიგნაკში და გულმკერდზე სხვაზე მეტი ორდენი და მედალი უბრწყინავდა.



მხატვარი თ. ხუციშვილი.

სასტიკად სცდება იგი, ვისაც ჰგონია, რომ საკარმიდამო მეურნეობა აფერხებს საზოგადო მეურნეობის წინსვლას. ისინი ავსებენ და აძლიერებენ ერთმანეთს და ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ, — ჰქმნიან სახალხო დოვლათს, სიუხვეს, სიმდიდრეს. ამიტომ რაც უფრო მეტი შინაური საქონელი და ფრინველი ეყოლება კოლმეურნე გლეხს თუ საბჭოთა მეურნეობის მუშას თავის კარმიდამოში, მით უფრო სავსე იქნება ქართველი კაცის სუფრა.

როდესაც ამ საგანზე სიტყვა ჩამოვუგდე არაშენდის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შალვა ყამბარაშვილს, მან ჩემდა მოულოდნელად ისეთი რამ მითხრა, რაც მანამდე არ გამეგონა.

— რა თქმა უნდა, პირადი და საზოგადო მამულები ძალიანაც აღონიერებენ ერთმანეთს, მაგრამ ამ ბოლო წლებში ერთმა ახალმა მოვლენამ იჩინა თავი და მისი არდანახვა ყოვლად შეუძლებელია! ზოგიერთ სოფელში კოლმეურნეობა ისე გაძლიერდა, შემოსავალმაც იმდენად იმატა, რომ იქაური გლეხი უკვე ძველებურად აღარ ელოლიავება თავის საკარმიდამო ნაკვეთს, კოლმეურნეობის შრომადღეს დიდი ფასი დაედო და ბევრად მეტი შემოაქვს ოჯახში, ვიდრე პირად მეურნეობაში დახარჯულ შრომადღეს. ერთმა გლეხმა ისიც კი მითხრა, „მაცდენს, ბატონო, უკან მეწევა ჩემი საკარმიდამო ნაკვეთი! კოლმეურნეობა უფრო იაფად მაძლევს რძეს, ყველს, ქათამს, ხახვს, ნიორს, — რა ვიცი, რას არა, ვიდრე ჩემი ძროხისა და ჩემი ბაღჩა-ბაღის მოვლა-პატრონობა მიჯდება!“ მშრომელი კაცი კი, როგორც მოგეხსენებათ, იქითკენ მიისწრაფვის, სადაც მისი მარჯვენა უფრო ძვირად ფასობს! როგორც ხედავთ, ბატონო კონსტანტინე, ამ შემთხვევაში პირადი და საზოგადო მეურნეობები თითქოს ერქინებიან ერთიმეორეს!

— გაუმარჯოს ასეთ შერქინებას! ეს ხომ სრულიად ახალი სიმაღლეა კოლმეურნეობის ცხოვრებაში! სანატრელი, საოცნებო სიმაღლე!

— რა საოცნებო? — მითხრა შალვამ. — შორს წასვლა [illegible] უბანი! ამ სოფლის კოლმეურნეობამ ისეთი ბარაქა მოჰკიდა შრომადღეს, შექმნა ისეთი სიუხვე და სიმდიდრე, რომ უკვე შეუძლია თავის მოსახლეობას უფასოდ მისცეს პური, სინათლე, გათბობა, წყალი... ვიდრე სოფელი განვითარების ამგვარ დონეს არ მიაღწევს, მანამდე, რა თქმა უნდა, გლეხის პირად მეურნეობას ჩვენი ზრუნვა და ყურადღება ერთი წამითაც არ უნდა მოაკლდეს, როგორც ამას გვავალებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი წერილი...

ვაზისუბანი!

ჩემდა სამწუხაროდ, გურჯაანის სოფლებს დღემდე თითქმის სრულიად არ ვიცნობდი. მხოლოდ კოლექტივიზაციის გარიჟრაჟზე ერთი-ორჯერ ვიყავი კოლაგსა და ველისციხეში, როგორც გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი; ერთი-ორი პატარა წერილიც დავწერე ამ სოფლებზე. მერე კი ისე წავიდა ჩემი ცხოვრება, რომ აქაობას დღემდე ვერ მოვაკითხე. გურჯაანის ქება-დიდება ხშირად მესმოდა ჩემი მეგობარი მწერლებისაგან და მეც ერთი სული მქონდა, როდის დავკრავდი თვალს ამ ქებულ მხარეს.

ეს ნატვრაც ამისრულდა. მგონი, ცოტა კიდევ გადავაჭარბე, — არამცთუ დღევანდელი გურჯაანის მაჯისცემას მივაპყარ ყური, მისი ახლო წარსულიც გავიხსენე და მამა-პაპათა ნაკვალევსაც გავყე ცოტაზე.

მაგრამ ჯერ კიდევ კაკას ხიდი არ გაგვივლია, ჯერ კიდევ 19 კომლი და 1 ძროხა გვიდგას თვალწინ...

ოთხად-ოთხი წელი იმუშავა გურჯაანის რაიონში შოთა ეცადაშვილმა, როგორც რაიკომის პირველმა მდივანმა, 1974 წლიდან 1978 წლამდე. ოთხი წელი არც ისე დიდი დროა ასეთი გამოჩენილი რაიონის ცხოვრებაში, მაგრამ ამჟამად გურჯაანის რომელი სოფელიც არა ვნახე, რომელი ფერმა და ვენახი, სიმინდის ყანა თუ ბაღჩა-ბოსტნის სათბური, ყველგან ამ გამრჯე, დაუღალავი კაცის სახელი შემეგება წინ, — სახელი და სიყვარული.

გურჯაანელი მეზვრე თუ მწყემსი სიტყვას არ მოაბრუნებს, რომ შოთა ეცადაშვილის სახელი არ დალოცოს და ყველაფერი, რითაც ახლა იგი ამაყობს ვენახსა და ბაგა-ბოსელში, ეცადაშვილის სახელს არ დაუკავშიროს. რამდენი სიკეთე უნდა დათესოს ხალხში პარტიულმა მუშაკმა, რომ თავისი თავი ასე ლამაზად დაამახსოვროს რაიონის მშრომელებს.

მუშაობის დაწყების პირველი დღიდანვე შოთა ეცადაშვილმა ყველაზე მეტი ყურადღება გურჯაანის რაიონის ყველაზე ჩამორჩენილი მეურნეობის დარგს — მესაქონლეობა-მეცხოველეობას მიაპყრო. ძროხას, ცხვარს, ხარ-კამეჩს ყოველწლიურად დიდი ზარალი მოჰქონდა და ამ ზარალს ისევ და ისევ შვილივით ნაზარდ-ნაფერები ვაზი ანაზღაურებდა.

ერთი ძროხა წელიწადში 1200-მდე ლიტრა რძეს იწველიდა. 1970-1972 წლებში გურჯაანმა სახელმწიფოს მოსახლეობასთან ერთად მიყიდა მხოლოდ და მხოლოდ 3434 ტონა საქონლის ხორცი. საშუალოდ წლიურად — 1144 ტონა. სახელმწიფოზე მიყიდული ხორცის დიდი ნაწილი მჭლე და გამხდარი პირუტყვისა იყო.

მთელი ჯოგიდან — ნასუქი პირუტყვის წონა მხოლოდ 0,4 პროცენტს შეადგენდა, რაც თითქმის არაფერს არ ნიშნავს. ძალზე დაბალი იყო მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის საშუალო წონა.

რძეს წლიურად კი ნუღარ იკითხავთ — 2830 ტონა.

მკითხველი ალბათ დამეთანხმება, რომ ამ საცოდავი ციფრების მემკვიდრე რაიკომის მდივანს ტკბილი და მოსვენებული ძილი უკვე აღარ ექნებოდა.

სამოციან წლებში საქმე იქამდე მივიდა, რომ მეზობელი რაიონებიდან არა ერთხელ და ორხელ ჩამოიყვანეს დაქირავებული მწყემსები.

ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს მოევლებოდა. ჯიშიან საქონელსაც შეიძენდნენ, ახალ სასუქ მოედნებს, სადგომებს, ბაგა-ბოსლებს გამართავდნენ, მწყემსის შრომის ანაზღაურების მოძველებულ წესებსაც შეცვლიდნენ... მართალია, კახელ მევენახეს ძროხის კუდს ვერ გამობამ, მწყემსის კომბალს ხელში ვერ დააჭერინებ, მაგრამ გურჯაანის სოფლებში ცხოვრობდნენ ძველი მწყემსების ჩამომავლები, ცხვარ-ძროხის სიყვარული გულში ჯერ კიდევ რომ არ ჩაკვდომოდათ. ერთი დაძახება, ერთი წამახალისებელი სიახლე შრომის დაფასებაში და, ყველანი ერთპირად მხარში ამოგიდგებოდნენ.

მარჯვე კაცის ხელში ყველაფერს ეშველებოდა. მეტადრე ამ პირობებში, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო ყოველმხრივად გიმაგრებდა ზურგს, მაგრამ ჯერ თავი-და-თავი საქმე იყო მოსაგვარებელი.

მომრავლებულ საქონელს საკვები უნდოდა. სად იყო იმდენი სათიბი და საძოვარი, რომ ჩანაფიქრს თავიდან ბოლომდე გასწვდენოდა!

სწორედ მაშინ გაიხსენეს გურჯაანელმა კომუნისტებმა ჰერემის მიტოვებულ-გადაგვარებული ვეება მიწა-წყალი. როგორც კი ეცადაშვილს ყურში ჩაეწვეთა ეს ამბავი, მეორე დღესვე მცოდნე კაცებს დაუძახა და ჰერემში ავარდა.

ჯერ გაოცდა, თვალწინ ამოდენა სიმდიდრე რომ გადაეშალა, მერე კი გული დაწყდა, რომ ეს თვალუწვდენი მდელო-სავარგულები გაუვალი ეკალ-ბარდებისა და ჯაგების წერა გამხდარიყო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“, № 208, 209, 210, 211.

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში გამართულ საქართველოს ახალგაზრდობის მეგობრობის ტრადიციულ დღესასწაულზე გაისმა ქართველი და აფხაზი ხალხების, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების ურღვევი ძმობის დიდებული ჰიმნი.



# დღესასწაული, რომელსაც დასასრული არა აქვს

ზუსტად ერთი წელი გავიდა თავი მოიყარეს ქართველმა და ... ეხვევიან, მაგრად — ართმევენ ...



სურათზე: მეგობრობის ზეიმი ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საგასტროლო მარშრუტები: მოსკოვი — საბერძნეთი

## • • გზა დაგვილოცოთ!

უკანასკნელი წლების წარმატებებმა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს დიდი სახელი მოუხვეჭა. თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი დაუღალავად ზრუნავს თავისი ავტორიტეტის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ...

... იჭვი არ არის, რომ რუსთაველის თეატრის ახალი საგასტროლო მარშრუტები, ქართული სასცენო ხელოვნების ახალ გამარჯვებებს გვპირდება.

გ. პაპუაშვილი.

## მოსკოვი მოლოდინშია

უკვე რამდენიმე დღეა მოსკოველების და ქვეყნის დედაქალაქის მრავალრიცხოვანი სტუმრის ყურადღებას იპყრობს ლამაზად გაფორმებული თეატრალური აფიშები, რომლებიც რუსთაველელთა გასტროლებზე იუწყებიან.

მეტად სიმბოლური და მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ქართველ მსახიობებს უმასპინძლებს მსოფლიოში სახელგანთქმული საბჭოთა კავშირის მცირე თეატრი, რომელსაც წლების განმავლობაში მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები აკავშირებდა ჩვენს დიდ თანამემამულეებთან ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინთან და კოტე მარჯანიშვილთან.

...

ახლაც მიესალმება მოსკოვი რუსთაველელებს და ბრწყინვალე თეატრალურ დღესასწაულს ელოდება.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

# „კერამოპლასტიკა“ ჯანმრთელობის სამსახურში

თბილისის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ოთარ ღუდუშაურმა ამ დღეებში რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კითხვაში, რომელიც პარტიის ბორჯომის რაიკომის ინიციატივით მოეწყო და სკკპ XXVI ყრილობას მიეძღვნა.

საქინფორმის კორესპონდენტი რ. ცუცქირიძე ბორჯომში შეხვდა მას და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.

...

ინფორმაცია—80

# პოეზიის სიტყვა — მშრომელებს

ამას წინათ ... მწერალთა ერთი ჯგუფი იმყოფა მთიანი აჭარისა და მესხეთ-ჯავახეთის რაიონებს. დელეგაციას, რომელშიც შედიოდნენ პოეტები მამია ვარშანიძე, ჯემალ ქათამაძე, ვახტანგ ღლონტი, ამირან ხაბაზი და ნუგზარ ჯაფარიძე, ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების ...

... ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა-ვალდებულებები და პირნათლად შეხვდნენ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს.

(„კომუნისტის“ კორ.).




## ცხრილი კომენტარით

### უმაღლესი ლიგა
მდგომარეობა 22 ტურის შემდეგ

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ კ. | 15 | 8 | 4 | 44-14 | 38 |
| „სპარტაკი“ | 12 | 8 | 2 | 30-12 | 32 |
| „ზენიტი“ | 10 | 7 | 5 | 34-29 | 27 |
| ცსკა | 9 | 8 | 5 | 28-20 | 26 |
| „შახტიორი“ | 9 | 7 | 6 | 32-28 | 25 |
| „დინამო“ თბ. | 9 | 5 | 8 | 31-23 | 23 |
| სკა | 8 | 7 | 7 | 24-22 | 23 |
| „ჩერნომორ.“ | 8 | 6 | 8 | 22-26 | 22 |
| „დინამო“ მნ. | 6 | 12 | 4 | 27-26 | 22 |
| „ყაირათი“ | 7 | 6 | 9 | 21-31 | 20 |
| „ნეფთჩი“ | 6 | 8 | 8 | 21-25 | 20 |
| „არარატი“ | 5 | 10 | 7 | 22-25 | 20 |
| „ტორპედო“ | 6 | 7 | 9 | 17-21 | 19 |
| „დინამო“ მ. | 4 | 10 | 8 | 18-28 | 18 |
| „ყუბანი“ | 5 | 7 | 10 | 22-27 | 17 |
| „ფახთაქორი“ | 5 | 7 | 10 | 16-25 | 17 |
| „ლოკომოტ.“ | 5 | 6 | 11 | 22-30 | 16 |
| „კარპატი“ | 4 | 6 | 12 | 15-34 | 14 |

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა ჩემპიონატის გათამაშების ცხრილს 22-ე ტურის შემდეგ, როგორც ვხედავთ, ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში კიევის „დინამო“, რომელმაც ზედიზედ მე-5 მატჩი მოიგო. უნდა აღინიშნოს, რომ კიეველები 1979 წლის ჩემპიონატის შესაბამის პერიოდშიც ლიდერობდნენ (მაშინ მათ 34 ქულა ჰქონდათ). ზუსტად შარშანდელი გრაფიკით მიდის მოსკოვის „სპარტაკი“, თუმცა მას ამჯერად ერთით მეტი ფრე აქვს. პრაქტიკულად სწორედ ამ ორი გუნდის სატურნირო დავაში უნდა გაირკვეს 1980 წლის ჩემპიონის ვინაობა, მაგრამ, ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ კიეველებს თავისებური უპირატესობაც აქვთ. ჯერ ერთი, მათ გაცილებით მეტი მატჩის (7) ფრედ დამთავრება შეუძლიათ, ვიდრე სპარტაკელებს (2), მეორეც 31 ოქტომბერს ისინი თავიანთ უშუალო კონკურენტებთან საკუთარ მინდორზე გამართავენ შეხვედრას.

დიდი დავაა მოსალოდნელი მესამე საპრიზო ადგილისათვის. სასიამოვნო იქნება თუ მათ შორის ...

... „სპარტაკი“ (1:0), ხოლო „ტორპედომ“ — ნალჩიკის „სპარტაკი“ (3:0). ბურთები გაიტანეს: ლანჩხუთელთაგან — ტროიანმა, ქუთაისელთაგან — ფარულავამ, სვანაძემ და ებანოიძემ.

ახლა ორივე გუნდი — „გური“ და „ტორპედო“ 34-34 ქულით შესაბამისად მე-10-11 ადგილებზე არიან.

## პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩებზე
## შეწირვა და კონტრშეწირვა

FIDE — GENS UNA SUMUS

ალექსანდრია დიდი აღმავლობით ატარებს მატჩს ვილნიუსში თავის ძველ მეტოქე ლიტინსკაიასთან. ქართველი მოჭადრაკე განსაკუთრებით კარგად თამაშობდა მესამე პარტიაში. აქ მან ჯერ ზუსტი და ენერგიული თამაშით აღკვეთა თეთრების ინიციატივა, შემდეგ კი ჩინებულად წარმართა კონტრშეტევა.

ამ პარტიაში ლაზიერის გამბიტის იგივე ვარიანტი გათამაშდა, რომელიც პირველ შეხვედრაში. ლიტინსკაიამ ვერც ამჯერად მიიღო სადებიუტო უპირატესობა, შემდეგ კი გადაწყვიტა ...

### მესამე პარტია
ლიტინსკაია — ალექსანდრია
ლაზიერის გამბიტი

1. მf3 d5 2. d4 მf6 3. c4 c6 4. მc3 e6 5. cd ed 6. ლc2 g6 7. კg5 კe7 8. კ:f6 კ:f6 9. e3 კf5 10. კd3 კ:d3 11. ლ:d3 კe7 12. 0-0 მd7 13. ეab1 a5 14. e4 de 15. ლ:e4 0-0 16. d5 მf6 17. ლe2 მ:d5 18. მ:d5 cd 19. ლb5 b6 20. ეbd1 კc5 21. ეd2 ლd6 22. ეfd1 ეad8 23. a3 ლf4 24. ლb3 ეfe8 25. g3 ლf6 26. მფg2 d4 27. ლb5 ეe4 28. ლc4 ლe7 29. ლb5 ლb7 30. h4 ეd5 31. მფg1 ეf5 32. ლb3 ეe3 33. fe ე:f3 34. ეg2 ე:e3 35. ლd2 ლe7 36. მფh2 a4 ...

ბ. ხარიტონოვი.



## წრიული ავტორბოლა

... არანაკლებ საინტერესო იყო ასპარეზობა „ვაზ-2106“ მარკის მსუბუქი ავტომანქანებით (ძრავის მოცულობა 1600 სმ), სადაც ჩვენი რესპუბლიკის 5 წარმომადგენელი გამოდიოდა. აქ უკრაინელმა ნიკოლოზ პოპოვმა არავის დაუთმო პირველობა. მეორე ...

ნ. ჯარიანი.

## კალამ გამარჯვება

## მულტფილმებს — დიდი მოწონება

ამ ცოტა ხნის წინათ სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტგაერთიანებამ კომიტეტს წარუდგინა თავისი ბოლო ოთხი ნამუშევარი — სამი ნახატი („არაჩვეულებრივი ნადირობა“, „ჯაჭვური რეაქცია“, „ნიუტონის ვაშლი“) და ერთი თოჯინური („საიდუმლო“) ფილმი.

ფილმებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. კერძოდ, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ...

რედაქტორი
ვ. გოლიაშვილი.

ტელევიზია
16 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვერმია“ (მ.). 09.40 — მხატვრული ფილმი „მისტერ მაკ-კინლის გაქცევა“. პირველი სერია (ფ.), 17.00 — აბიტურიენტებისთვის — ქართული ენა (ფ.). 17.30 — განცხადებები, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.45—შვეიცარიელი ინგლისური ენა (ფ.), 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.35 — პასუხი ტელემა- ...

მეორე პროგრამით: 17.05 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.35 — ბავშვებისთვის — მხატვრული ფილმი „სტუდენტების ავტომატი“ (ფ.). 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.00 — განცხადებები, 19.05 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა (ფ.).


კომუნისტი



ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:
380096, თბილისი-96,
ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეები — 99-98-03, 99-08-09, პ/მდივანი — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, აღმზრდელობითი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის, 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 02392